ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND
POLITICAL SCIENCES

№ 06/30 "09" 07 2015 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება #6

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის წესით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56–ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა", „ბ" „ო" და „პ" ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის N77/2011 დადგენილებით დამტკიცებული "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-7 მუხლისა და რექტორის #81/01–01; 2015–06–03 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდა მობილობის წესით სტუდენტთა გადმოსვლისათვის, გამოცხადდეს ვაკანტური ადგილები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა). **საბაკალავრო პროგრამები**

1) საზოგადოებრივი გეოგრაფიის – 50 ადგილი

ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +995 32 290594 Tel.
ფაქსი: +995 32 290594 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge E-mail

2) პოლიტიკის მეცნიერების – 10 ადგილი
3) სოციოლოგიის – 2 ადგილი
4) სოციალური მუშაობის – 2 ადგილი
5) ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის ქართულ–რუსულ ენოვანი – 2 ადგილი

ბ). სამაგისტრო პროგრამები

1) დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა – 3 ადგილი
2) ნაციონალიზმი და ეთნიკურობის კვლევები – 2 ადგილი
3) ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი) – 3 ადგილი
4) საზოგადოებრივი გეოგრაფია – 1 ადგილი
5) დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია – 3 ადგილი
6) გენდერის კვლევა – 3 ადგილი
7) სოციოლოგია – 2 ადგილი
8) სოციალური მუშაობა – 2 ადგილი
9) ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია – 3 ადგილი
10) პოლიტიკის მეცნიერება – 3 ადგილი
11) სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა – 3 ადგილი
12) კონფლიქტების ანალიზი და მართვა – 3 ადგილი

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია